შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება"
"UNITED AIRPORTS OF GEORGIA" LLC

N 429
04/06/2019

429-1-2-201906041556

შპს „საქაერონავიგაციის" გენერალურ დირექტორს

ბ-ნ გოჩა მეზვრიშვილს

ბატონო გოჩა,

მიმდინარე წლის 22 მაისს თქვენს მიერ გამოგზავნილი N 8/624 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ შპს „საქაერონავიგაციის" კუთვნილ ტერიტორიაზე (ს/კ 01.19.25.015.006) განთავებული შენობის დემონტაჟი, N 8/624 წერილის დანართად წარმოდგენილი სადემონტაჟო პროექტის შესაბამისად.

აქვე გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების" ახალი ადმინისტრაციული ოფისის მშენებლობა, რომლის დასრულებაც დაგეგმილია 2019 წლის დეკემბრისთვის. ვინაიდან სადემონტაჟო ობიექტი და ჩვენი ადმინისტრაციული შენობა ემიჯნება ერთმანეთს, რის შედეგადაც აუცილებელია დემონტაჟამდე მომიჯნავე კედლის გამაგრების სამუშაოების წარმოება (აღნიშნული შეაფერხებს ოფისში სამუშაო პროცესს), გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ შენობის დემონტაჟი განახორციელოთ ახალი ადმინისტრაციული შენობის აშენების შემდგომ.

პატივისცემით,

კონსტანტინე ქათამაძე

დირექტორის პირველი მოადგილე

"საქაერონავიგაცია"
შპს
05 JUN 2019
შემოსული № 888

შპს „საქაერონავიგაცია“
„SAKAERONAVIGATSIA“ Ltd

№ 8/624 „ 22 “ 05 2019 წ.

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“
დირექტორს ბ-ნ. გიორგი ჩოგოვაძეს

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ შპს „საქაერონავიგაცია“ გეგმავს თავის კუთვნილ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: 01.19.25.015.006) განთავსებული შენობის დემონტაჟს, რომელიც ემიჯნება „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ კუთვნილ ადმინისტრაციულ შენობას.

ქ. თბილისის მერია ითხოვს თქვენს ნებართვას დემონტაჟის განსახორციელებლად.

აღნიშნული შენობის დემონტაჟისთვის შემუშავებულია პროექტი შესაბამისი საექსპერტო დასკვნებით, თქვენი შენობის მდგრადობის გათვალისწინებით (იხ. დანართები).

თქვენი, 2019 წლის 13 თებერვლის №100 წერილის თანახმად, გაწვდით შესაბამის დოკუმენტაციას და გთხოვთ, უმოკლეს ვადებში მოგვცეთ წერილობითი თანხმობა მერიაში წარსადგენად, რათა მერიამ გასცეს დემონტაჟის ნებართვა.

დანართი: 33 ფურცელი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი გიჩა მეზვრიშვილი

Airport, Tbilisi,
0198, Georgia

Tel.: (995 32) 2 744 212
(995 32) 2 744 306
(995 32) 2 744 227
AFTN: UGGGGNXX

http://www.airnav.ge
E-mail: intrel@airnav.ge